

სახალხო გაზეთი

ცურათების და დატების
ცურათები

გაზეთის № 420.

გვირა, 9 იქტომბერი 1911 წ.

დამატების № 74

ცოცხალი გვამი

დრამა 6 მოქმედებად და 12 სურათად

ლ. 6. ტოლსტოისა.

ა მ ა მ ა ღ დ ნ ი პ ი რ ვ ე ლ ი

ფრინვლის ძე პრინცესოვი (ფუდა).
ელიზავეტა ანდრეევნა პრინცესოვისა (ფუზა). იმისი ცოლი.
შიშა, ვათი შვილი.
ანნა პავლოვნა, ლიზას დედა.
საშა—ახალგაზრდა ქალი, ლიზას და.
გიგიორ მიხეილის ძე კარენინი.
კნ. სერგეი დიმიტრის ძე პარეზევოვი.
მაშა, ახალგაზრდა ბოშის ქალი (ციგნის ქადა).
ნასტინა ივანოვნა, მოხუცი ბოშა ქალი) მაშას მშობლები.
ივან მაკაროვიჩი, მოხუცი ბოშა)
აფიცერი.
მემუსიკე.
1-ლი ბოშა.
2-რე ბოშა.
ბოშა დედაკაცი.
ბოშა დედაკაცები და მამაკაცები (მომდევნობი).
ექიმი:
შიხეილ ალექსანდრეს ძე აფიცეროვი.
სტაციონი.
ბურგევიჩი. } ფელის მოკეთენი.
კერატოფიზიკი.
ივანე პეტრეს ძე ალექსანდროვი.
ვაზნეცენსკი, მდივანი კარენინისა.
პეტრუშკოვი, მხატვარი.
არტემიევი.
მსახური, განმარტოებულ კაბინეტში.
მსახური, სამიკირნოში.
პოლიციელი.
გამომძიებელი.
მელნიკოვი.
ხავშის მწარმოებელი, გამომძიებლისა.
შეკრიკი.
ახალგაზრდა გეჭილი.
პეტრუშინი, ვექილი.
ქალი.
აფიცერი.
ხახამართლოს მახელე.

ძინა პრინცესოვიანი.

გოგი პრინცესოვიანი.

ლაქი, აფიცეროვისა.

ლაქი, კარენინოვებისა.

მ ა ქ მ ე ღ ე ბ ა ჰ ი რ ვ ე ლ ი

ცურათი 1-ლი.

მოქმედება სწარმოებს სატაცტო ქალაქში, პრინცესოვის ბინაზე.
სცენა წარმოადგენს პატარა სასადილო ოთახს.

გ ა მ თ ხ ე ღ ლ ა I.

ანნა პავლოვნა. სრული, ქოლარა დელაკაცი, კარსექში გა-
მოწყობილი ზის ჩას მაგიდასთან.

გ ა მ თ ხ ე ღ ლ ა II.

ანნა პავლოვნა და ძინა (ჩიადანათ).

ძინა. ცოტაოდენი წყალი არ შეიძლება?

ანნა პავლოვნა. შეიძლება. როგორაა მიშიკი?

ძინა. მოუსვენრათა. მეტად უფლა, რომ იმას თვით ქალ-
ბატუნი ჰკვებავს. იმათ თავიანთი ვარამი ჰქენჯნის და
ამით ბალანაც იტანჯება. რაღა რე უნდა შერჩეს, რო-
ცა ღამები არა ძანავთ, სტირიან?

ანნა პავლოვნა. ეხლა მგონი დამშერდდა.

ძინა. კი დამშეიდება. გულის შემაწუხებელია იმათი უ-
რება! წელანაც რაღასაც სწერლენ და თან სტირო-
ლენ.

გ ა მ თ ხ ე ღ ლ ა III.

ანნა პავლოვნა, ძინა და საშა (შემთხვევა).

საშა (ძინას). თქვენ ლიზა დაგეძებთ.

ძინა. მივალ, მივალ. (გადის).

გ ა მ თ ხ ე ღ ლ ა IV.

ანნა პავლოვნა და საშა.

ანნა პავლოვნა. ძინა ამბობდა, რომ სულ სტირისო. რით ვერ
დამშეიდდა.

საშა. თქვენი საქმე გასაკუირველია, დედა. განშორდეს ქმარს,
თავის შეალის მამას და ამასთანავე თქვენ გინდათ, რომ
დამშეიდებითაც იყოს.

ანნა პავლოვნა. ვერ დამშეიდება. რაც მოხდა, მოხდა. თუ
რომ მე, მშობელი, არამც თუ ხელი არ შეუშალე,
არამედ შიხარიან კიდევაც, რომ ჩემი ქალი ქმარს თავს
ანგებს, —ეტუმბა, ის კაცი ამის ლიტეს ყოფილია. სა-
მხიარულოს და არა სადარდელი, რომ ისეთ ცუდ კა-

ცის ხელისან განთავისუფლდები, თავს დაახტევ ისეთ
ოქროს.

საშა. დედა, მაგრე რათა ლაპარაკობთ? კარგად იცით, რომ
ეგ სიმართლე არ არის. ის კაცი სუსტ მხარეების მიუ-
ხედავთ ცუდი კი არა, პირ იქით საკვირველი, მეტად
საკვირველი იდამიანია.

ანნა პავლ. მართლაც რომ საკვირველი აუმიანია. რო-
გორც კი ფულს ხელში ჩაიგდებს, —თავისია, თუ
სხვისი...

საშა. დედა, იმას არას დროის სხვისი ფულებით არ უსარ-
გებლია.

ანნა პავლ. ცოლის ფულებით, —ეგ სულ ერთია.

საშა. მერე, იმან ხომ მთელი თვისი ქონება ცოლს გადასცა.

ანნა პავლ. მაშ არ გადასცემდა, როდესაც კარგად იცო-
და, რომ სულ შემოუფლანგებოდა.

საშა. შემოუფლანგებოდა, ოუ არა, ევ ვინ იცის, —მე მხო-
ლოდ იმას ვიტყვი, რომ არ უნდა გეეყარო ქმარს,
ნამეტნავად ისეთს, როგორიც ფედია არის.

ანნა პავლ. მაშ უძნა გქონია უნდა უცადო იმ დროდე,
ვიღრე ის ყველაფერს გაფლანგავდეს და სახლშააც
მოიყვანეს საყვარლებად ბოშის ქალებს?

საშა. იმას საყვარლები არა ჰყავს.

ანნა პავლ. უკედურება იმაშია, რომ მან თქვენ ყველანი
მოგაჯადოვათ; ჩემს გარდა მე კი უკაცრავად. მე
იმას კარგად ვიცნობ და ეს იმანაც კარგად იცის. ლი-
ზას ადგილის რომ ვიყო, ეხლა კი არა, მე იმას ამ
ერთი წლის წინადაც მივანებებდი თავს.

საშა. თქვენ როგორ ადვილად ლაპარაკობთ.

ანნა პავლ. ადვილათ რათა. დედისათვის ადვილი როდია
ქმარ-გაყრილ ქალს შესცემოდეს. მერწმუნე, სულ არ
არის ადვილი. მაგრამ ეს მანც სჯობია, ვიღრე დაი-
ღუბოს ახალგაზრდა სიცაცხლე. არა, მე ვმაღლობ
უფალსა, რომ ლიზამ ეხლა მანც გადასწყვიტა და
ყველაფერიც გათავებულია.

საშა. ჯერ იქნება არც იყოს გათავებული.

ანნა პავლ. მხოლოდ განქორწილება საჭიროა.

საშა. მერმე რა სიკეთე იქნება.

ანნა პავლ. ის იქნება, რომ ლიზა ჯერ კიდევ ახალგაზრდა
და იმისთვის კიდევ მოსალოდნელია ბეჭდიერება.

საშა. ოხ, დედავ, ეგ ხომ საშინელებაა, აბა, რას ამშობთ;
ლიზას არ შეუძლიან სხვა შეიყვაროს.

ანნა პავლ. რატომაც არ შეუძლიან? თუ კი თავისუფალი
იქნება. შეიძლება თქვენ ფედიაზე ათასჯერ ეკვთესნიც
გამოჩენენ, რომლებიც გაბეჭდიერდებიან ლიზასთან
შეუღლებით.

საშა. დედა, ეგ არ არის კარგი. მე ხომ ვიცი, რომ თქვენ
ეხლა ვიქტორ კარენინზე ფუქრობთ.

ანნა პავლ. თქნდ იმაზე! იმას ათი წელიშადიცა უყ-
ვარს ლიზა და ლიზას ის.

საშა. უყვარს, მაგრამ სამიჯნუროდ კი არა. ეგ მეგობრო-
ბა ბავშობიდგანაა.

ანნა პავლ. კარგად ვიცით ეგ მეგობრობა! აბა მოაშორე
ხელის შემშლელი პირობები!

გ ა მ ა ბ ვ ლ ა V.

ანნა პავლ და **საშა.** შემოღის მოსამსახურე გოგო.

ანნა პავლ. რა გინდათ?

გოგო. ქალბატონს შეეზოვე ჰყავდა ბარათით გაგზავნილი
ვიქტორ მიხაილოვიჩთან.

ანნა პავლ. რომელ ქალბატონს?

გოგო. ელიზავეტა ანდრიევნას.

ანნა პავლ. მერე?

გოგო. ვიქტორ მიხაილოვიჩს უპრძანებია, ეხლავშ გიახლე-
ბითო.

ანნა პავლ. (გავითვალისწილი). არ ვაცი, რა წმინდა (საშის).
შენ არ იცი?

საშა. იქნება ვიცოდე, იქნება არა.


ანნა პავლ. კიდევ საიდუმლო და საიდუმლო..

საშა. ის ლიზა მოვა, და ის თითონ გეტყვით.

ანნა პავლ. (თავის ქნევათ, გოგოს) სამოვარს შეთბობა სკი-
რია. გაიტა, დღნიაშა, (გოგოს სამოვარი გააქვს).

ც მ ც ხ ა ლ ი გ ვ ა ბ ი

(პიესა ლ. ტოლსტოის),



ანნა პავლ. თქვენი არც არაფერი შესმის. ყველა ეს რადაც ახალ-
მოდურია!

(პირველ მოქმედების პირველი სურათი).

გ ა მ ა ბ ვ ლ ა VI.

ანნა პავლისა და საშა

ანნა პავლ. (ს შის, რომელიც წამოღება და გასცილა დააპი-
რება). ისე მოხდა, როგორც ვამბიბდი: მაშინვე კარე-
ნინი დაუბარებია.

საშა. იქნება სრულიადაც იმისთვის არ იყო დაბარებული.

ანნა პავლ. მაშ, რისთვის?

საშა. ეხლა, ამ წუთაში, ლიზასთვის კარენინი იგივეა რაც
ტრიოფონოვნა.

ანნა პავლ. აი, პნახავ. მე კარგად ვიცი ლიზას საქმეს: ის
იმიტომ დაუბარებია, რომ სულის სიმშვიდეს ეძებს.

საშა. ოხ, დედაქმო, ეტყობა ცუდად იცნობთ ლიზას, რომ მაგრა ჰყავდებოთ...

ანნა პავლ. აი, პნახავ. მე კი ამით ძალიან, ძალიან მოხა-
რული ვარ.

საშა. ვნაბოთ. (დიდაბით გადას).

(შემდეგი იქნება)

გ. ა. ლ ც ი ხ ე ლ ი.



სახალხო გაზეთი

ა. გ რ ა რ ი ს ა

(რუსულიდან).

(დასასრული *).

— დიდი ხანია ეგ მიყვარს... ოდნავ გასაგონის ხმით უთხრა ალპალლამ.

— ვიცი, და ვიცი ისიც, რომ შენ მას არ უყვარხარ...

— გული საგულეში აღარ მაღება, როცა მაგას ფინქრობ.

— მაშ, ჩემი შოხუცი გული რიოა ეხლა სავსე?

ხელმეორედ გაჩუმდენ. ალპალლამ ამოიხრა.

— მთადან ჰლვაში გადავიდოთ, — შვილის სიტყვები ისე გაიმეორა თიხენს მიღამიმ ბარი მისცაო.

შევიდნენ ჰარამხანაში, სადაც იმ ქალს იატაკზე გაშლილ ხალიჩაზე ეძინა. მოხუცს თვალებიდან ვერცხლისფერ წვერებზე ცრემლები სდიოდა, და მარგალიტისავით ბრჭყიალებდა. მისი შვილი კი იდგა და წარმოაცობის გრძნობას იმაგრებდა თვალების ბრიალით და კბილების ღრუქნით, რომლითაც ქალი გააღვიძა. გაღვიძებისათანავე მას განებივრებულ გარდის ფერ სახეზე ცისკაისებრ გაუბრწყინდა თვალები. ალპალლამ ვერ შეამჩნია და წითლად ღაულაზ ტჯები ხანს გაუშვირა.

— მაკოცე, ბებერთ არწივი!

— მოემზადე... ჩევნთარ ერთად წამოხვალ, — ხანმა დაბალი ხმით უთხრო.

ს ი ს ხ ა ლ ი გ ვ ა ბ ი

(ვიქა ლ. ტოლსტოისა).



მოსკოვის სამხატვრო თეატრში დადგმულია. ბოზათა გუნდი მღერის „შოლ შე ვერსტა“ (პირველ მოქმედების მეორე სურათი).

— სჩანს, მართალი მითხრა შოხუცა მოლამ, — კაცს ქალი მუდამ ავნებსო: როცა ის კარგია, მაშინ ულვიძებს სხვებს რის დაპყრობის გრძნობას და თავის ქმარს კა განსაცდელში და ათასნაირ წვალებაში აჯდებს; როცა ის ცუდია, სხვების შემყურე მისი ქმარი სიპრაზისაგან კვლება, — და, თუ ის არც ლამაზია და არც უშნო — კაცი მას ალამზებს და რა გაიგებს, მოვტყუვდით, ხელახლა დარღობს. ამ ქალს...

— სიბრძნე გულის ტკიფილის წამალი არ არის — სოქვა ხანმა.

— მამავ, ერთმანეთი შევიბრალოთ...

ხანმა თავი მალლა აწირა და შვილს ნაღვლიანიდ შეხედა.

— მოვკლათ...

— შენ შენი თავი უფრო გაყვარის, ვიღრე ის და მე ხანმა ცოტახნის დაფიქტების შემდეგ ნელა სოქვა.

— შენც ხომ?

კიდევ გაჩუმდნენ.

— დიალ, მეც! — ნაღვლიანიდ წარმოსოქვა და დარღისაგან გაყმაწვილდა.

— როგორ, მოვკლათ?

— არ შემიძლიან დაგოთმო, არა! — სოქვა ხანმა.

— მეც ვეღარ შემიძლია მეტი მოთმენა, — ან გული ამომგლიჯე და ან ეგ დამითმე!

ხანი გაჩუმდა.

— ამ მთადან ზღვაში გადავაგდოთ.

ქალვა დარნახა ალპალლა და მოხუც არწივსაც შეამჩნია თვალებზე ცრემლები. ჭკვიანი ქალი იყო და მალე მიპარდა რაშიაც იყო საქმე.

— მოვდივარ, მოვდივარ! არც ერთს და არც მეორეს! — ხომ ასე გადასწყვიტეთ? მაქნაირად უნდა მოიკწენ გულიათ მაგარნა, მოვდივარ!

და სამივემ ჩუმალ ვაწრო ბალიკათ ზღვისკენ გასწიეს. ქარი ჰქონდა.

განებივრებული ქალი იყო და მალე დაიღალა, ვაგრძო თავმომწონების გამო მამა-შვილს არ იჰყობინებულ. ქალის უკან ჩამორჩენა ხანის შვილშა შეამჩნია და ჰკონა:

— გეშინიან?

— მან თვალებით ვაუღამა და გასისხლიანებული ფეხები აჩვენა.

— მოღი აგიყვან! — უსხრა ალპალლამ. ხელები გაუშვირა, მაგრამ ქალი მოეხვია მოხუც არწივს და მან ბუმბულსავით იატაკა. ქალი ხანს გზაში ხის უოტებს აშორებდა, თითქოს ეშინოდა — თვალებში არ მოპარდეს.

დიდხანს მიღიოდნენ და ბოლოს ზღვილი შემოესმათ. ტოლაიკე, რომელიც უკან მაღიოდა, მაშის უთხრა:

— წინ გამიშვი, თორებ მინდა კისერში ხანჯალი ჩაგრა!

— გაიარე, ალლაზე შეგინდობს შენს განზრახვის, თუ არა — მისი ნებაა, მე კი, მამაშენი, გაპატივებ. ვიცი, რაც არის სიყვარული.



ზელომ-ხანის აზგა,

რომელიც უკანასკნელ შეტაკებას დატვირთავდა. შიგ იყო სურათები: შამოლისა—რუბის ნახატი, მის მოკლულ თ-დ გ-ა. ანდრიანიკაშვილისა; გის მიერვე დაჭრილ რომისტრ-ლონგუევისა.

სურათი ზემილ-ხანის ოჯახობისა და სხვა.

აი, ზღვაც იქ, ქვემოდ შავია და უნაპირო. ურუთა მღერის მისი ტალღები ქვემო კლდებთან და იქ ბნელა, ცივა და საშინელება.

— მშეიღობით!—უთხრა ხანმა და ქალს აკოცა.

— მშეიღობით!—უთხრა ალპალლიძ და თავი დაუკრა.

ქალმა გადაიხედა იქ, სადაც ტალღები ღელავდნენ, უკან დაიხია და გულზე ხელები მიიწყო.

— გაღმიაფეთ!

ალპალლიძ ხელები ქალისკენ გაიშვირა და ამოიკვნესა, ხანმა კი იყვანა, გულში მიგრა ჩიიკრა, აკოცა, მერე ას- წია თავის თავზე უფრო მიღლა და კლდებან ზღვაში გადაისროლა. იქ ტალღები ერთმანეთს ეხეთქებოდნენ და დრადი ხიაურობის გამო არც კი გაიგეს ჩიგარდნისაგან წყლის ჩქაფუნი. მო- ხუცი ხანი დაეშვა ქვაზე და ჩუმალ იყურებოდა ძირს, სიბნელეში სადაც ლრუბლები ზღვაში არეულიყვნენ და ტალღები ყრუდ მოსურავდა. ქარი უბერავდა და ხანის ქილარა ვერცხლისფერ წვერებს ჰქონდა. ტოლიძეს პირისახეზე ხელები მიეფირებინა და, როგორც ქვა, გაუნძრევლად მამის თავს დასდგომოდა. ლრუბლები ქარის გა- მო ერთი მეორის უკან მისცურავდა. იგინი მძიმე- ნი იყვნენ, როგორც ზღვის ზემოდან კლდეზე მჯდომ მოხუც ხანის ფიქრები.

— მამავ, წავიდეთ!

— მოიცა! — წაიჩურჩულა ხანმა, თითქოს რასმე ყურს უგდებსო.

გავიდა რამდენიმე ხანი; ზღვა ისევ ზეირთდებოდა, ქა- რი კი ზურნებდა და ხეებს არხევდა.

— მამავ, წავიდეთ...

— ჯერ მოიცა...

არა ერთხელ განუმეორა ტოლიძე ალპალლა:

— მამავ, წავიდეთ.

ხანი ილარ შორიდებოდა იმ ადგილს, სადაც უკანასკნელ დღეების სიხარული დაპარაზა.

მაგრამ დასასრული ყველაფერსა აქვსა — ის აღგა ასოდები და თავმოყვარე, იღვა უარბებ შეკრული და ურუთა სოქვა:

— წავიდეთ...

გასწის, მაგრამ ხანი ისევ მალე შესდგა.

— ან კი რისთვის მოვდივარ და ან სად, ტოლიძე? რილასთვის უნდა ვიცოცხლო, როცა მთელი ჩემი სიცო- ცხლე იმ ქალში იყო? მოცხუცი, აღარ შემიყვანებენ და თუ არავის უკარისარ, ფუჭია ისეთი სიცოცხლე.

— მამავ, ღიღება და სიმღიღებ გაქვს...

— მომეც ერთი იმ ქალის კაცნა და საჩუქრად ყვე- ლა ეგ მიიღე. ეს ყველა მკვდარია, მხოლოდ მარტო ქალის სიცვარულია ცოცხალი.

თუ არ არის ეგეთი სიცვარული — არც არის კაცის სი- ცოცხლე; მაშინ ადამიანი ღარაკია, მთხოვარია და შესაბრა- ლია მისი დღენი. მშვიდობით, ჩემო შვილო, დღე-მუდამ ალლახას კურთხევა იყოს შენხე, — სოქვა ეს უა გაბრუნდა ზღვისკენ.

— ჩამავ, მამავ!.. ამის მეტი აეღარაფერი უთხრა, რად- გან ვეღარას ჩტევი კაცს, რომელსაც სიცვდილი ულიმის; ისეთს რას გრძევი რომ სიცოცხლისადმი სიცვარული დაუ- ბრუნდეს!?


— გამიშვი...

— ალლახ...

— იგან იცის...

ხანი აჩქარებულის ნაბიჯით მიუახლოვდა კლდეს და უცბად ძირს გაღავარდა. შეილმა ვერ მოასწრო მამის შე- ჩერება.

კალევ არაფერი გაისმა, არც უვარისლი და არც წყალში ჩავარდნისაკან ჩქაფუნის ხა. მხოლოდ ტალღები ისევ ერთი მეორეს ეხეთქებოდა და ქარი კვლავ გაჰკიოდა ველურ ჰან- გებს.



ზელომ-ხანის ბოლო-დელი მსხვერპლინ-

დიდხანის უყურებდა ძარს ტოლიძე ალპალლა, მერე კი ხმა მალლა შამოიძახა:

— ოხ, ალლახ! მცც ასეთი გული მომეც! — და გასწია ლანის წყველიადში.

..... ასე დაიღება ხანი ელ ასვაპი და ყიჩიმის ხანად ტოლიძე ალპალლა დაჭდა.

ალ. ზამ—შვილი.

